„ჩინგუტი საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველაო“

ოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2021 წელი ● №21-22 (9515-9516) ● 1-30 ნოემბერი ● ფასი 1 ლარი

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის / თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისათვის, კანონიერ ძალაში შესული შემაჯამებელი ოქმების მიხედვით, საკრებულოს წევრად, მერად არჩეული პირები (I –II ტური)

თვითმმართველი თემის – სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებად არჩეული არიან:

I. პროპორციული საარჩევნო სისტემით:

№ პარტიულ სიაში	სახელი და გვარი	წარმდგენი
1	ლაშა კუჭავა	5. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”
2	სევდია უგრეხელიძე	5. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”
4	ზურაბ სანაია	5. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”
5	მაია ფირცხალავა	5. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”
6	ბორისი სოსელია	5. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”
7	გრიგოლი შურღაია	5. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”
8	გოგიტა ოდიშარია	5. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”
9	ია აბულაძე	5. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”
11	სულხანი ხუნწარია	5. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”
1	ირაკლი კაჭარავა	25. გახარია - საქართველოსთვის
2	ედიშერი ბაღათურია	25. გახარია - საქართველოსთვის
3	ნინო ტყებუჩავა	25. გახარია - საქართველოსთვის
4	ილია ახალაია	25. გახარია - საქართველოსთვის
1	საბა ოდიშარია	41. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო
2	ლევანი უჩანეიშვილი	41. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო
3	ინგა ქარდავა	41. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო
4	ზაზა ნაჭყებია	41. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო
5	ირაკლი კალანდარიშვილი	41. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო
6	ელისო ცაგურია	41. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო
7	ბადრი კალანდარიშვილი	41. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო
8	ელიზბარი ოდიშარია	41. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო
9	მანანა გვიჩია	41. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო

II. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით:

ადგი-ლობრივი მაჟორი-ტარული ოლქის ნომერი	სახელი და გვარი	წარმდგენი
64.01	მირანდა მირცხულავა	5. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”
64.02	ბესიკი ნარმანია	5. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”
64.03	გიგა წურწუმია	41. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო
64.04	ვახტანგი წურწუმია	5. „ერთიანი ნაციონალური ოძრაობა”
64.05	ბადრი ხურცია	41. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო
64.06	საბა სირია	5. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”
64.07	ლევანი ჯინორია	41. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო
64.08	შაქრო კოკაია	41. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო
64.09	კაპიტონი ტორჩინავა	41. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო
64.10	ბადრი შარტავა	41. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო
64.11	ირაკლი ცხვიტავა	41. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო

104. თვითმმართველი თემის –
სენაკის მუნიციპალიტეტის მერად არჩეულია:

№41 ვახტანგ გადელია - ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო

ბატონ ვახტანგ გადელიას!

გილოცავთ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებას და სენაკის მუნიციპალიტეტის მერად არჩევას.

გვჯერა, თქვენი საქმიანობით , ახალგაზრდული ენერგიით, დიდ წვლილს შეიტანთ ჩვენი მუნიციპალიტეტის წინსვლის, აღმშენებლობის, ტურიზმის განვითარების, ახალგაზრდობის დასაქმების, ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების საქმეში.

გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებულ საქმიანობას.

გაზეთ „ოლხეთის" რედაქცია

წარმატებას გისურვებთ!

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებას ვუ-ლოცავთ პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეულ ყველა დეპუტატს.

ვუსურვებთ წარმატებულ საქმიანობას, ამომრჩევლის ნდობის გამართლებას, ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების გადაწყვეტას, გეგმაზომიერ მუშაობას ქალაქის და სოფლების განვითარება – წინსვლაში.

გაზეთ „ოლხეთის" რედაქცია

მუნიციპალიტეტის მერიაში

სენაკის ახლადარჩეული მერი მუშაობას შეუდგა

სენაკის მუნიციპალიტეტის ახლადარჩეული მერი ვახტანგ გადელია მერის უფლებამოსილების შესრულებას შეუდგა.

ვახტანგ გადელია მერიის სამსახურების და განყოფილებების უფროსებს, მუნიციპალური ა(ა)იპ-ებისა და შპს-ების ხელმძღვანელებს სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა, გიორგი გუგუჩიამ წარუდგინა.

წარდგენას ესწრებოდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე ნინო ვიბლიანი, მოადგილეები - დავით კუხალეიშვილი და დავით ვერავა, სენაკის მუნიციპალიტეტის ყოფილი მერი ლევან კუპრეიშვილი.

სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა, გიორგი გუგუჩიამ მადლობა გადაუხადა ლევან კუპრეიშვილს და მის გუნდს გაწეული ნაყოფიერი საქმიანობისთვის. აღნიშნა, რომ სენაკის ახლადარჩეული მერი ვახტანგ გადელია არის ახალგაზრდა, გამოცდილი კადრი, რომელიც ღირსეული და ერთ-ერთი საუკეთესო მერი გახდება და თავის წვლილს შეიტანს მუნიციპალიტეტის შემდგომი განვითარების საქმეში.

ვახტანგ გადელია

„უპირველეს ყოვლისა, მხარდაჭერისა და გამოცხადებული ნდობისთვის მინდა გულითადი მადლობა გადავუხადო ჩემს სენაკელებს.

მე, ჩემს გუნდთან ერთად, მაქვს კონკრეტული და რეალისტური ხედვები, რომელიც თითოეული მოქალაქის საჭიროებებზეა გათვლილი და მოიცავს ჩვენი მუნიციპალიტეტის ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული, სასოფლო-სამეურნეო და ტურისტული პოტენციალის რეალიზებას, ხარისხიანი განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ხელმისაწვდომობის გაზრდას.

ვიქნები ყველა სენაკელის მერი, თითოეულის მეგობარი.

ჩემს ცოდნას და გამოცდილებას მაქსიმალურად მოვახმარ ჩემი სენაკელების კეთილდღეობას" - აღნიშნა სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ვატანგ გადელიამ.

ვახტანგ გადელია 1986 წლის 16 ივნისს, ქალაქ სენაკში დაიბადა.

2002-2003 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ სკოლა-კოლეჯ „ჰარმონიაში". 2003-2007 წლებში - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ფინანსების და საბანკო საქმის სპეციალობის დაუფლების პარალელურად, მან საქმიანობა საბანკო სექტორში დაიწყო. 2007-2008 წლებში ვახტანგ გადელიას სს „საქართველოს ბანკის" საკრედიტო ოფიცრის თანამდებობა ეკავა. 2009 წლიდან კი - წარმატებულად და ნაყოფიერად საქმიანობს სამშენებლო სექტორში: 2009-2013 წლებში სს „არქოპოლისის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი გახლდათ. შემდეგ ოთხი წელიწადი სამშენებლო კომპანია „მშენებელი 999-ს" ხელმძღვანელობდა. ამავე პერიოდში დაამთავრა საქართველოს უნივერსიტეტი - ფინანსური აღრიცხვისა და მენეჯმენტის სპეციალობით. სწორედ „მშენებელ 999-ში" მუშაობისას გადაწყვიტა, დამოუკიდებელი სამშენებლო კომპანიის დაფუძნება. 2017 წელს დააარსა სამშენებლო კომპანია, რომელსაც სამი წელიწადი ხელმძღვანელობდა.

მან სამშენებლო-დეველოპერულ კომპანიაში 70-ზე მეტი ადამიანი დაასაქმა და 70-ზე მეტი პროექტი განახორციელა.

ვახტანგ გადელია 2020 წლიდან შპს „ჰიდროკონსტაქშენში" პროქტის დირექტორი გახლდათ. კომპანიის საქმიანობის არეალი ჰესების მშენებლობას მოიცავს. მასშტაბური პროექტი, რომელსაც ვახტანგ გადელია ახორციელებს, რაჭაში, ჭიორაჰესის მშენებლობაა.

ვახტანგ გადელია ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

N4 ბაგა-ბაღის ახალი შენობა

სენაკში, მშვიდობის ქუჩაზე, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი N4 ბაგა-ბაღის ახალი შენობა გაიხსნა. გახსნის ცერემონიალს სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე ნინო ვიბლიანი, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორი ბესარიონ სიმონიშვილი, სენაკის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსი შალვა სარდალიშვილი, საერთაშორისო ორგანიზაცია ლტოლვილთა დანიის საბჭოს (DRC) დასავლეთ საქართველოს სამხარეო მენეჯერი მზევი ჯოჯუა და სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორი ალექსანდრე ჯანჯღავა ესწრებოდნენ.

საჭირო ტექნიკით, ინვენტარით, ბუნებრივი აირითა და ცენტრალური გათბობით უზრუნველყოფილი სააღმზრდელო დაწესებულება 100 აღსაზრდელს მოემსახურება.

შენობა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

პროექტი ლტოლვილთა დანიის საბჭოსა (DRC) და საქართველო-გერმანიის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა.

მიმდინარე წელს ასევე დასრულდა ჯიხას ქუჩაზე მდებარე, თანამედროვე სტანდარტების N5 ბაგა-ბაღის მშენებლობა.

უახლოეს პერიოდში დაიწყება 100 აღსაზრდელზე გათვლილი N3 ბაგა-ბაღის მშენებლობის უპრეცედენტო პროექტის განხორციელება.

ასევე იგეგმება N7 საბავშვო ბაღის მშენებლობა.

უფასო პროფილაქტიკური და დიაგნოსტიკური გამოკვლევები

სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობისთვის, უფასო პროფილაქტიკური და დიაგნოსტიკური გამოკვლევები გრძელდება.

აქციის ფარგლებში, უფასო სამედიცინო კვლევები ჩაუტარდა ზანის, უშაფათის, ფოცხოს, ლეძაძამეს, ნოსირის, გეჯეთის, ძველი სენაკის, ნოქალაქევის, ზემო ჭალადიდისა და თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობას.

სამედიცინო აქცია სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და წითელი ჯვრის საზოგადოების ერთობლივი პროექტის „საქმიანობათა ცენტრი სენაკში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისთვის" ფარგლებში, ხორციელდება.

განახლებული ქუჩა

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ გადელიამ, პირველი სამუშაო დღე, მუნიციპალიტეტის მასშტაბით მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების გაცნობით დაიწყო.

მუნიციპალიტეტის მერი, პირველ მოადგილესთან, გრიგოლ ბაღათურიასთან და ზედამხედველობის სამსახურის უფროსთან, ედიკა ბერაიასთან ერთად, ჯორჯაძის ქუჩაზე მიმდინარე საგზაო ინფრასტუქტურულ სამუშაოებს გაეცნო.

ქალაქ სენაკს კიდევ ერთი განახლებული ქუჩა შეემატა.

კარიერული წინსვლა - სწავლისა და განვითარების უწყვეტი პროცესია

მიმდინარე წელს სენაკის მუნიციპალიტეტის მერია საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიერ განხორციელებული საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის 2020 წლის კონკურსის ერთ-ერთი გამარჯვებული გახდა პროექტით „სენაკის ეკონომიკური განვითარება ტურიზმის ხელშეწყობის გზით". სწორედ ამ პროექტის ერთ-ერთი ავტორი და სულისჩამდგმელი არის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტრატეგიის და ქონების მართვის სპეციალისტი ქალბატონი მარინე კვარჭაია.

ჩვენი დღევანდელი ნომრის სტუმარი გვესაუბრება აღნიშნული პროექტისა და მომავალში განსახორციელებელი მნიშვნელოვანი პროექტების შესახებ.

ქალბატონო მარინე, თქვენ ხართ საკმაოდ წარმატებული ქალბატონი თქვენს საქმიანობაში, რამ განაპირობა თქვენი პროფესიული არჩევანი და რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის კარიერული წინსვლა?

კარიერული წინსვლა მნიშვნელოვანია ჩემთვის, როგორც სწავლისა და განვითარების უწყვეტი პროცესი. ამდენად, უდავოდ პრიორიტეტულია. ღია ვარ ჩემი პროფესიული თუ პიროვნული განვითარებისკენ მიმართული ნებისმიერი აქტივობისთვის, რომელიც ქმნის და აყალიბებს კარიერას.

ვთვლი, რომ ჩემი პროფესიების არჩევისას, საკუთარი უნარების, ინტერესების, ღირებულებების და პიროვნული მახასიათებლების შეფასებით საინტერესო და სწორი არჩევანი გავაკეთე.

დღემდე ვცდილობ ისეთი საქმიანობებით დავკავდე, რომელიც ცოტათი მაინც მიმაახლოებს ჩემთვის სასურველ სფეროებს, რადგან ეს ფაქტორიც ასევე მნიშვნელოვანია განვითარებისთვის საჭირო გარემოს შექმნისთვის.

დავამთავრე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი ანგლისტიკის სპეციალობით. ასევე, ამავე უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამა - ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება.

სულ რაღაც ერთი წლის წინ თქვენ გაიმარჯვეთ პროექტში „სენაკის ეკონომიკური განვითარება ტურიზმის ხელშეწყობის გზით". გთხოვთ გვესაუბროთ ამის შესახებ.

2020 წელს განხორციელებულმა პროექტმა „სენაკის ეკონომიკური განვითარება ტურიზმის ხელშეწყობის გზით", არა მხოლოდ სასტარტო ბიძგი მისცა მიმზიდველ ლოკაციაზე ტურიზმის განვითარებას, არამედ შემოსავლის წყარო შეუქმნა ადგილობრივებს და ბიზნესს გაუჩინა ახალი ეკონომიკური საქმიანობის სურვილი.

პროექტი, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP)

„რეგიონულიდაადგილობრივიგანვითარებისხელშეწყობის - ფაზა 2" პროექტის ფარგლებში, შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC), ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით განხორციელდა, რაც გულისხმობს ტურისტული ინფრასტრუქტურული ობიექტის მოწყობას ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ბეთლემში. პროექტის მიხედვით მოეწყო რეკრეაციული ზონის განვითარებისათვის სათავგადასავლო და დასასვენებელი ატრაქციები - თოკების პარკი და ზიპლაინი. ასევე, მიმდებარე ტერიტორიაზე - ტურისტული ობიექტები შესაბამისი ინფრასტრუქტურით.

პროექტის დასრულების შემდეგ, მერია კვლავ აგრძელებს ამ ტურისტული ობიექტის მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოების განხორციელებას, რაც ერთმნიშვნელოვნად ხაზს უსვამს ამ მიმზიდველი ლოკაციების განვითარების მნიშვნელობას.

როგორც დასაწყისში აღნიშნეთ, 2021 წელს პროექტი „სენაკის ეკონომიკური განვითარება ტურიზმის ხელშეწყობის გზით", საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (ათეა) მიერ განხორციელებული ევროკავშირის 2020 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის (BPP) ერთ-ერთ გამარჯვებულ პროექტად დასახელდა.

ცალსახაა, რომ აღნიშნული პროექტები მნიშვნელოვანი სტარტია დონორებთან ურთიერთობასა და თანამშრომლობაში, საინვესტიციო პროექტების მხარდაჭერაში, რომელიც მომავალში მეტად გაძლიერდება და აუცილებლად ხელს შეუწყობს არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას.

დავამატებდი და გულითად მადლობას გადავუხდიდი ჩვენს დონორებს, მერიას, ყველა იმ ადამიანს ვინც კი ჩართული იყო ამ საქმიანობებში. განსაკუთრებით კი მადლობა მერს, ბატონ ლევანს მხარდაჭერისა და ნდობისთვის, რაც უპირობოდ მნიშვნელოვანი იყო ამ პროექტების წარმატებით განხორციელებისთვის.

თუ იგეგმება მსგავსი პროექტების განხორციელება მომავალშიც?

დიახ, იგეგმება. წარმატებულად განხორციელებული პირველი პროექტის შემდეგ, მიმდინარე წელს, ჩვენი დონორების დაფინანსებით და მხარდაჭერით, ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში დაიწყო და მიმდინარეობს პროექტის – ბორანის მიმდებარედ არსებული ტერიტორიის კეთილმოწყობა ტურისტული ინფრასტრუქტურით — განხორციელება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2021 წელს, UNESCO-მ საქართველოს კოლხური ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიები მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სიაში შეიყვანა. მათ შორისაა კოლხეთის ეროვნული პარკი, რომელიც მოიცავს ზემო ჭალადიდის მონაკვეთს და ცალსახაა, რომ ზემო ჭალადიდში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა არის მნიშვნელოვანი დასაწყისი სამომავლოდ ამ ადგილის ტურისტული განვითარებისთვის.

აღვნიშნავ იმასაც, რომ 2020 წელს სენაკის მუნიციპალიტეტის მერია გახდა ევროკავშირის ინიციატივის MM4EG „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" ქსელის წევრი და შეიმუშავა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა. სწორედ ეს გეგმა იქნება წარდგენილი ათეა-ს საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის 2021 წლის კონკურსზე. ევროკავშირის ინიციატივის ახალი ეტაპის, მეორე ფაზის განმახორციელებელი მიმდინარე წლიდან არის UNDPგაეროს განვითარების პროგრამა, რომელიც 48 თვის განმავლობაში განხორციელდება და დაეხმარება აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების ადგილობრივ ხელისუფლებებს გამოიყენონ ინოვაციური მიდგომები სამართლიანი და მწვანე განვითარების, რეგიონში ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის ხელშესაწყობად.

შესაბამისად, სენაკის მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად ჩაერთვება ევროკავშირის მიერ გამოცხადებულ ახალ ინიციატივებში.

ასევე, სენაკის მუნიციპალიტეტის მერია გააგრძელებს საინვესტიციო პროექტების მხარდაჭერას, სხვადასხვა დონორებთან ურთიერთობას და თანამშრომლობას.

იქედან გამომდინარე რომ თქვენ ხართ აქტიური და რეალიზებული ქალბატონი თქვენს საქმიანობაში, რამდენად ახერხებთ პროფესიული საქმიანობისა და საოჯახო საქმეების შეთავსებას?

შეიძლება ითქვას, რომ ვიყო აქტიურად დაკავებული ჩემთვის სასურველი საქმიანობებით, მაძლევს მეტ სტიმულს და მოტივაციას სწორად დავგეგმო დრო, რაც შესაბამისად მეხმარება პროფესიული თუ საოჯახო საქმიანობების შეთავსებაში.

მარიკა მიქაბერიძე

ჩემი ჯავშანი - სიყვარული

მარიკა ტორჩინავა, „მარი კოლხი" სენაკელია. დაამთავრა სენაკის მეორე საშუალო სკოლა. დედამ, რაიონში ცნობილმა ქალბატონმა დოდო ტორჩინავამ, ადრეული ასაკიდან ჩაუნერგა წიგნის და პოეზიის სიყვარული. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა სოხუმის ჰუმანიტარულ-ეკონომიკურ ინსტიტუტში, პარალელურად გადიოდა პრაქტიკას ტელეკომპანია „ეგრისის" სასწავლო სტუდიაში „სტუდენტური რუბიკონი", გულდასმით ეუფლებოდა ტელეჟურნალისტიკის ჟანრებს.

ოჯახი ადრეულ ასაკში შექმნა, დიდი შრომა სჭირდებოდა 4 შვილის- დავითის, ლუკას, გიორგის, ანას-აღზრდას. მისი ცხოვრების ურთულესი დრო იყო შვილის გიორგის ავადმყოფობა, 8 თვე გაატარა საავადმყოფოში შვილის გვერდით. გამოჯანმრთელების იმედს არ კარგავდა. ამ პერიოდში ხატვამ და დიზაინმა გაიტაცა. დიდ მოწონებას იმსახურებს მისი ხელთნაკეთი ნივთები.

მალე მარი კოლხი ცნობადი სახე გახდა, მედიასაშუალებები დაინტერესდნენ მისი პირადი ცხოვრებით, შემოქმედებით. არაერთჯერ მიიღო მონაწილეობა ლიტერატურულ კონკურსებში, სხვადასხვა საავტორო გადაცემებში.

არის ილია მართლის ჯვრის, „მის დედა-2020"., „პერსონა 2020 " ტიტულების მფლობელი, ივერიის პრემიის ლაურეატი.

მარი კოლხს დაგეგმილი აქვს საქველმოქმედო საღამოების ჩატარება, დახმარების აღმოჩენა ავადმყოფი ბავშვებისათვის. მისი სურვილია დაეუფლოს ფსიქოლოგიას, უნდა ფსიქო-კონსულტანტობა.

ძალიან უყვარს მოგზაურობა. ყოველ ზაფხულს მშობლიურ სენაკში ატარებს, წელს საგულდაგულოდ მოინახულა სამეგრელო-ზემო სვანეთის ღირსშესანიშნავი ადგილები.

ის მუდამ ძიებაშია, დაუდგრომელი, მხიარული ქალბატონი. ადამიანებს ურჩევს იბრძოლონ, არ მოდუნდნენ, დააფასონ სიცოცხლის ყოველი წუთი და წამი. მას სამოქმედოდ აქვს ალბანელი ჰუმანისტის დედა ტერეზას სიტყვები: სიცოცხლე – გამოწვევაა, ბედისწერაა-თამამად შეები, სიცოცხლე ბრძოლაა-გახდი მებრძოლი.

მარი ძლიერი ქალია, ძლიერ ქალს მუდამ სხივი უდგას თვალებში. მუდამ იმედის მომცემია იგი თავისი ოჯახისთვის და პოზიტივს ასხივებს ირგვლივ. გვინდა ჯანმრთელობა, წარმატება და შვილების ნათელი მომავალი ვუსურვოთ ჩვენს რესპონდენტს.

მკითხველს ვთავაზობთ მარი ტორჩინავას ლექსებს

„ჩემი ცხოვრება ბრძოლაა, მე მეომარი ვარ,
სიყვარულია ჩემი ჯავშანი, ღიმილი ჩემი იარაღია."

კოლხი ვარ „სამარგალოდან"

ხან მთას ვეწვევი, ხან ბარსა,
ხან ტბა-კლდე-ჭიუხ მდინარეს,
ვეტრფი და ვხარობ ბუნებით,
მიყვარს მღვიძარს თუ მძინარეს.

ჩემი სამშობლო ლამაზი,
კუთხე, მხარე ვინ გამიყო,
კოლხი ვარ „სამარგალოდან"
მინდა მთელი ხმით გავჰყვირო.

გველეთის ჩანჩქერს ქაფქაფას,
ტბას ფარავნისას მოხატულს,
თოვლისფერ ნისლში გამახვევს,
ოქროს სხივებით გათანგულს.

ყანა პურისა მღელვარე,
სულის ლაბირინთს შეეხო,
რა ლამაზია, უფალო,
ჩემი ცა ლურჯი, უძირო.

რაჭა, მისი ტბა შაორის,
ნიკორწმინდა და ცხრაჯვარი,
რომელ კუთხესაც მივადექ,
ჩემი სამოთხეც იქ არის!!!

სვანეთი? მთების მისტიკა,
ამქვეყნიური ზღაპარი,
თამარის კოშკში ასული,
შხარას მშვენებას შევხარი.

ჩემი სამშობლო ლამაზი,
კუთხე, მხარე ვინ გამიყო,
კოლხი ვარ „სამარგალოდან"
მინდა მთელი ხმით გავჰყვირო.

შემომაკემსე აპრილი

შემომაკემსე აპრილი ტანზე,
და დიადემად დამადგი მარტი,
ყველა ყვავილი გზად მომიფანტე
დილის ნიავი იმღერებს ქალზე.
აამწვანე და ააშრიალე,
გადათოვლილი თეთრი ტყეები,
მოდი ამინთე მთვარე ჩამქრალი,
გამიფერადე მზისფრად დღეები.
დაისაკუთრე ყველა ოცნება,
ეს ცისარტყელა თმებში მაბნიე,
პეპელასავით წავიფარფატებ,
შენ მზის სხივებად შემომეხვიე
შენ ააღელვე ლურჯი ტალღები,
ის ნაფერფლარი ზღვაში აბნიე,
ამათრთოლე და ამაცახცახე,
მიხუტე გულში და დამაბნიე.

ააგიზგიზე ცეცხლი ვნებების,
ააკაშკაშე ეს ვარსკვლავები,
ჩამჭიდე ხელი, ხელს ნუ გამიშვებ,
ნუ წახვალ ქარში დავიკარგები.
წითელი კაბით მაცეკვე ტანგო,
და შემდეგ ვალსი ცის კაბადონზე,
გადავირბინოთ ყველა ღრუბელი,
მე მთვარის შუქზე დაგიწერ ლექსებს.
შენ დიადემად დამადგი მარტი,
შემომაკემსე აპრილი ტანზე,
იასამნებად დაგელოდები
ბედნიერების ლურჯ პლანეტაზე.

მე... ჩემი მიწის შვილი

მიყვარხარ დილის ნიავო,
გეტრფი აისის მზეო,
ბურუსს რომ შთანთქავ სხივებით,
ამობრწყინდები მზეობ.
მიყვარხარ ღამის ღვთაებავ,
სულამდე სავსე მთვარეო,
სახე-გაბადრულ ღამესაც,
თავი რომ მოანატრეო.
შენ ცისარტყელავ ფერებით,
კაბა რომ მომიქარგეო,
ვარსკვლავებისგან ციმციმა,
გვირგვინი თავს რომ მარგეო.
ამ ქათქათელა ღრუბლების
ქურქი რომ შემიკერეო.
არ გავცივდები, გავუძლებ,
გამოვიზამთრებ მალეო,
შევეგებები გაზაფხულს,
დღეს თუ არადა ხვალეო.
პეპლებს, ჭრელებს თუ ლამაზებს
შევიბნევ მზისფერ თმებზეო,
დავკრიფავ მინდვრის ყვავილებს,
შენ გვერდი დამიმშვენეო,
ვიმღერებ მწყემსის სიმღერას,
შევდგები მაღალ მთებზეო,
რქაგრეხილ ჯიხვებს შევხვდები,
არწივებს ციცაბოზეო,
შევუშინდები გან რას,
გული ნაჭედი გრდემლზეო,
იქნებ ნადირმა გამგლიჯოს,
დამაგდოს ტრიალ ველზეო,
ცხოველი ვერსა დამაკლებს,
ადამის მოდგმის მეტზეო,
ადამიანმა გაგწიროს?
უარესია მხეცზეო!!!
არ გიშინდები სიკვდილო,
წამლეკო დღეს თუ ხვალეო,
მაგრამ ვიცოცხლო, ვიხარო
ვის რაღა დავუშავეო.
როცა სიბერემ დამჯაბნოს
სამარე გამითხარეო.
არ დამანახო თვალებით,
მაბრმავე ან დამთხარეო,
არ მინდა მტკვარი, თბილისი,
სამშობლო უქართველოო...
ჩემი ბედკრული ქვეყანა,
ღვთისმშობლის ხვედრი მხარეო.
უფალო, მადლი ღვთიური,
მოგვმადლე, შეგვიწყალეო,
დალოცე ერი, მიკურთხე,
აბრწყინე, გამიმრავლეო!!!

***

ვგრძნობ რომ თვალებში სხივი დგება,
მე ვბედნიერობ
აქ ...სადაცაა არწივივით კლდიდან ავფრინდე,
რა ლამაზია ღმერთო ჩემო,ჩემი სამშობლო,
მდინარესავით სიხარულით მინდა ავდიდდე.

სულში ტოტები შრიალებენ ტრფობის ჰანგებით,
აგერ ღვინოსაც ჩამოასხამს რკონში ბერმუხა,
მუხლმოდრეკილი ჩემს ტაძართან გავირინდები,
რომ არ გიყვარდეს შენი მიწა, აქ ხომ ვერ მოხვალ.

მრავალჟამიერს გუგუნებენ თითქოს დღეები,
რომელ კუთხესაც ვესტუმრები მადლის ფერიანს,
მე მიხარია,მეჩემება ჩემი ქვეყანა,
ასე მგონია, სადაც მივალ ყველგან მელიან.

სენაკის საპატიო მოქალაქეები

სენაკს უყვარს ის ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ, იღწვიან და წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებენ საზოგადოების ცხოვრებაში. გაზეთ „კოლხეთის" რედაქცია ულოცავს ღვაწლმოსილ და თავიანთ სფეროში წარმოჩენილ ადამიანებს სენაკის საპატიო მოქალაქეობას. ჩვენს რესპონდენტებს ერთი კითხვით მივმართეთ: რას ნიშნავს მათთვის სენაკის საპატიო მოქალაქეობა. გთავაზობთ რესპონდენტების პასუხებს.

მარინა გელანტია

მარინა გელანტია დაიბადა სოხუმში, 1975 წელს დაამთავრა სენაკის მეორე საშუალო სკოლა, 1983 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. 1996 წელს ჯანდაცვის საატესტაციო კომისიის მიერ მიენიჭა თერაპევტის უმაღლესი კატეგორია.

1984-85 წლებში მუშაობდა აბაშის რაიონული საავადმყოფოს პოლიკლინიკის ენდოკრინოლოგად, 1985 წელს-სოხუმის სასწრაფო სამედიცინო სადგურის მორიგე ექიმად, 1985-86 წ.წ. – სოხუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმღები განყოფილების ექიმად, 1986-88 წ.წ. სოხუმის ამიერკავკასიის რკინიგზის საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების ექიმად, 1988-1993 წ.წ. მთავარი ექიმის მოადგილედ სამკურნალო დარგში, პარალელურად სოხუმის ჯაფარიძის სახელობის სამედიცინო სასწავლებლის პედაგოგად, 1991-1993 წლებში სოხუმის რკინიგზის საავადმყოფოსთან არსებული სამედიცინო სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგეა, 1997-2005 წლებში აფხაზეთის სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სამედიცინო ჯგუფის უფროსია, 2012-2013 წლებში-აკადემიკოს ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის სამედიცინო დირექტორი, 2013-2015 წლებში ამავე კლინიკის მოქალაქეთა მომსახურების და ფინანსური მონიტორინგის განყოფილების უფროსი, 2015-2019 წლებში ღუდუშაურის კლინიკის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე, 2019-2021 წლებში ? ესც-ის გენერალური დირექტორი, ამჯამად მუშაობს თოდუას სახელობის სამედიცინო ცენტრის გენერალურ დირექტორად. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და შვილიშვილი.

როდესაც პიროვნებას გიფასდება მშობლიური სენაკელების და არა მარტო, ზოგადად ადამიანების მიმართ გამოჩენილი ღვაწლი, ყურადღება, პროფესია, რამაც გამხადა ღირსი ვატარო „საპატიო სენაკელის" წოდება, ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს, რომელიც კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას მაკისრებს.

ყოველივე წარმოაჩენს და ამაღლებს სენაკელების, ქალაქის ხელმძღვანელობის ღირსებას, რომლებმაც შეძლეს ჩემი და სხვა საპატიო მოქალაქეების ამაგის შეფასება, იმ ადამიანებისა, რომლებმაც ფეხი ავიდგით ამ ულამაზეს ქალაქში.

მიყვარს და მეამაყება, რომ ვარ „სენაკის შვილი"

ამისთვის ღირდა სიცოცხლე!

მადლობა ამ ბედნიერებისთვის!

ნელი ხორავა

1960 წელს დამთავრა სენაკის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმი, 1970 წელს საქართველოს სუბრტოპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სუბტროპიკული ფაკულტეტი. 1964-73 წლებში მუშაობდა საქართველოს ალკკ ცხაკაიას რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, 1973 წელს — „სოიუზპეჩატის" სენაკის განყოფილების გამგედ.

1974-93 წლებში — სენაკის სანერგე მეურნეობის დირექტორად. 1985 წელს დაიცვა დისტერტაცია, არის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი – პროფესორი.

1993-94 წლებში მუშაობდა სენაკის აგროსამრეწველო გერთიანებაში მთავარ სპეციალისტად.

1994-2008 წლებში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას საქართველოს საინჟინრო – ეკონომიკურ და სენაკის ჰუმანიტარულ ეკონომიკურ ინსტიტუტებში ფაკულტეტის დეკანის და პრორექტორის თანამდებობაზე. პარალელურად მუშაობდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ხარისხის ინსპექციის უფროსად აბაშის, მარტვილის და სენაკის რაიონებში.

არის 3 რაციონალიზატორული წინადადების ავტორი. გამოქვეყნებული აქვს 9 სამეცნიერო ნაშრომი. დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორდენით.

სენაკის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭება ჩემთვის ნიშნავს დიდ პასუხისმგებლობას. ეს აღიარება ეკუთვნის იმ ადამიანებს, რომლებიც ჩემთან ერთად მუშაობდნენ წლების განმავლობაში.

მინდა მადლობა გადავუხადო ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელობას, საინიციატივო ჯგუფს, რეკომენდატორებს, რომელთაც გაიხსენეს და მომანიჭეს ჩვენი ქალაქის უმაღლესი ჯილდო.

ლირა ჯღარკავა

ლირა ჯღარკავა დაიბადა ცხაკაიაში ლოლა და სილიბისტრი ჯღარკავების ტრადიციულ ოჯახში, მესამე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გაგრძელა გორის №9 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში. 1970 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტი, ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობით.

1970-80 წლებში მუშაობდა ცხაკაიას №66 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში დირექტორის მოადგილედ, 1980 წელს არჩეული იყო და 1985 წლამდე მუშაობდა ცხაკაიას ხალიჩების კომბინატის პროფკავშირების თავმჯდომარედ, 1985 -89 წლებში ცხაკაიას №66 პროფსასწავლებლის დირექტორად, ხოლო 1989-96 წლებში სენაკის რაიონის განათლების განყოფილების გამგის მოადგილედ. 1996-99 წლებში იყო სენაკის რაიონის -პროფესიული კავშირების ორგანიზაციების გაერთიანების თვმჯდომარე, ამასთან 1996 - 2000 წლებში მუშაობდა ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის სენაკის რაიონული განყოფილების წამყვან სპეციალისტად.

2002-2006 წლებში არჩეული იყო სენაკის საკრებულოს წევრად. დაჯილდოებულია არაერთი სამთავრობო ჯილდოთი. ყავს ორი შვილი, ხუთი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი.

სხვადასხვა სფეროებში მოღვაწეობის დროს ჩემი საქმიანობის ძირითადი პრიორიტეტი იყო სენაკსა და სენაკელებზე ზრუნვა. ძალიან მიყვარს ჩემი მშობლიური ქალაქი, რომლის წინსვლასა და განვითარებაში ჩემი მოკრძალებული წვლილიც არის.

მინდა მადლობა გადავუხადო იმ ადამიანებს, რომლებმაც გამიხსენეს და ეს საპატიო ტიტული მომანიჭეს.

სენაკში ყველაფერი ახლობელი და მშობლიურია ჩემთვის: ყოველი ქუჩა ხე, ბუჩქი, თვით კენჭიც კი. ყოველ სენაკელში მუდამ ვეძებდი ნათელ წერტილს, სულიერ სილამაზეს. ვთვლი, რომ სწორედ სულიერი სილამაზე ბადებს კეთილგანწყობას, სიკეთეს, მიმტევებლობას.

მინდა ამ საპატიო ტიტულის მინიჭება მივულოცო იმ ღირსეულ სენაკელებს, რომლებმაც ჩემთან ერთად მიიღეს ეს საპატიო ჯილდო.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ყველას!

დარეჯან კოკაია

დარეჯან კოკაია დაიბადა სენაკში, ინტელიგენტების ოჯახში (დედა –პედაგოგი, მამა ინჟინერი). დაამთავრა სენაკის პირველი საშუალო სკოლა. 1981 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის ფაკულტეტი. კლინიკური ინტერნატურის სრული კურსი გაიარა თბილისი რესპუბლიკური საავადმყოფოს ბაზაზე. 1982-85 წლებში მუშაობდა სენაკის რაიონის სოფელ მენჯის ამბულატორიის გამგედ. 1985-87 წლებში გაიარა კლინიკური ორდინატურის სრული კურსი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიუტუტის პედიატრიის კათედრის და თბილისის №1 საავადმყოფოს ერთობლივ ბაზაზე.

1987 წლიდან მუშაობს სენაკის ბავშვთა საავადმყოფოს ექიმ პედიატრად. 1995 წლიდან არჩეულია მედმუშაკთა პროფკავშირული კომიტეტის სენაკის ორგანიზაციის თავმჯდომარედ. გავლილი აქვს სემინარები და ტრენინგები პედიატრიაში და მონათესავე სპეციალობებზე.

იყო გამორჩეული კულტურისა და ტრადიციების ქალაქის საპატიო მოქალაქე – ეს არის უდიდესი პასუხისმგებლობა, ჩემი საყვარელი სენაკელების, ადგილობრივი ხელისუფლების და საკუთარი პიროვნების მიმართ. ეს არის სტიმული მომავალი საქმიანი წლებისთვის.

მინდა მადლიერება გამოვხატო ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც პატივი დამდო და ეს სტატუსი მომანიჭა.

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

სენაკის საპატიო მოქალაქეები

(დასასრული)

იოსებ გადელია

დაიბადა გეგეჭკორში, წარჩინებით დაამთავრა სენაკის №7 საშუალო სკოლა. სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტუტუტში, რომელიც დაამთავრა ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაციით.

1987 წლიდა 1994 წალმადე მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე აგროსამშენებლო ფირმა სენაკში, 1994 წელს დაინიშნა სენაკის მექანიკური ქარხნის დირექტორად, სადაც მუშაობდა 1998 წლამდე, 1998-200 წლებში მუშაობდა მარტვილის რაიონის გამგებლად.

2001 წლიდან დღემდე არის სს„მექანიკურის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, შპს „ინდიკოს" დამფუძნებელი, 2015 წლიდა შპს „ელიტ პალასისა" და შპს „როიალ სნეილის" დამფუძნებელი.

მშობლიური ქალაქის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის, მშობლიური ქალაქის სიყვარულისა და ერთგულებისათვის, რომ მოგანიჭებენ საპატიო მოქალაქის წოდებას, ამაზე დიდი ჯილდო არ არსებობს. ეს მარტო ჯილდო არ არის. ეს არის უდიდესი პასუხისმგებლობა, ვალდებულება შენი ქალაქისა და თანაქალაქელების წინაშე.

არ მიყვარს საკუთარ თავზე საუბარი, მითუმეტეს ჩემს გაკეთებულ საქმეებზე. ვთვლი, რომ როგორც პროფესიით მშენებელს და ერთ-ერთი ძლიერი საამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელს გარკვეული წვლილი შემაქვს ჩვენი ქალაქის და საერთოდ მთელი რეგიონის ინფრასტრუქტურის განვითარების საქმეში. სენაკთან მაკავშირებს ბევრი მოგონება, არაერთი რთული და წინააღმდეგობით აღსავსე დღე, წარმატებაც, იმედგაცრუებაც, გამარჯვებაც... ყოველივე ეს დღევანდელი გადასახედიდან დადებით იმპულსს მაძლევს.

მინდა მადლობა გადავუხადო საინიციატივო ჯგუფს, ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელებს, რომლებმაც გამიხსენეს და მომანიჭეს ეს ჯილდო.

იმედი მაქვს ჩემი სენაკი კვალავაც გააგრძელებს წინსვლას, კიდევ უფრო დამშვენდება განახლებული გზებით, შენობებით, საამშენებლო ობიექტებით.

ზურაბ ჭანტურია

ზურაბ ჭანტურია დაიბადა ცხაკაიაში, დაამთავრა ცხაკაიას სკოლა ინტერნატი და სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში საავტომობილო გზების მშენებლობის სპეციალობით. 2001 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით. 2001 წელს, სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ მუშაობა დაიწყო №5 სამშენებლო ტრესტის №12 მ.მ.კ. –ში სამუშაოთა მწარმოებლად, 1977-იმავე ტრესტის №17 მ.მ.კ.-ში სამუშაოთა მწარმოებლად. 1978 წელს აირჩიეს ცხაკაიას ხალიჩების კომბინატის კომკავშირის ორგანიზაციის განთავისუფლებულ მდივნად. 1980-86 წლებში მუშაობდა ცხაკაიას შ.ს. რაიონულ განყოფილებაში სოციალისტური საკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ხაზით ინსპექტორად. 1986-90 წლებში-სადგურ სამტრედიას მილიციის განყოფილების სადგურ სენაკის განყოფილების სოციალისტური საკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ხაზით ინსპექტორად, 1990-95 წლებში -ამავე განყოფილების პოლიციის უფროსის მოადგილედ, 195-96 წლებში-სატრანსპორტო პოლიციის სადგურ სამტრედიას პოლიციის განყოფილების სენაკის აეროპორტის პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილედ, 1996 წელს დაინიშნა პოლიციის სენაკის რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილედ, კრიმინალური პოლიციის უფროსად, 1998 წელს გადაყვანილ იქნა სატრანსპორტო პოლიციის სადგურ სამტრედიას პოლიციის განყოფილების სენაკის აეროპორტის პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსად, 2000 წელს- სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის მთავარ სამმართველოში ს.ს. სამძებრო სამმართველოს უფროსიის მოადგილედ, 2001 წელს – ამავე სამმართველოში უფროსის მოადგილედ, კრიმინალური პოლიციის უფროსად, 2004 წელს- სატრანსპორტო პოლიციის სადგურ სამტრედიას პოლიციის განყოფილების სადგურ სენაკის პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსად, 2005 წლის დეკემბერში პოლიციის პოლკოვნიკის ჩინით გავიდა პენსიაზე.

დაჯილდოებულია საკავშირო შ.ს.ს. მინისტრის ბრძანებულებით მედლით „საუკეთესო" პოლიციელი. ასევე დაჯილდოებულია მედლებით „10 და 15 წელი პოლიციაში უმწიკვლო სამსახურისათვის... 1991-1993 წლებში მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობისათვის ბრძოლებში სამაჩაბლოსა და აფხაზეთში.

2004 წელს არჩეული იყო სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარედ. ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟიშვილი..

საპატიო მოქალაქეობა ნიშნავს ხალხის სამსახურში გათენებულ უძილო ღამეების დაფასებას, რომელსაც ბევრი ჩემი თანამებრძოლის სიცოცხლე შეეწირა ქვეყნის ერთიანობისათვის ბრძოლაში მონაწილეობის შეფასებას სამაჩაბლოსა თუ აფხაზეთში, ჩემი გავლილი გზის შეფასებას, რომელიც ხშირად სიკვდილ- სიცოხლის ზღვარზე გადიოდა, ჩემი ოჯახის წევრების ჩემს ლოდინში გათენებული ღამეების შეფასებას.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს, საინიციატივო ჯგუფს, მრჩეველთა საბჭოს, რომელთა რეკომენდაციით გახდა შესაძლებელი ჩემთვის და სხვა ღვაწლმოსილი ადამიანებისათვის საპატიო სენაკელის ტიტულის მინიჭება.

მელსი გრიგოლია

მელსი გრიგოლია დაიბადა ზუგდიდში, 1955 წელს წარჩინებით დაამთავრა ცხაკაიას რკინიგზის საშუალო სკოლა. სწავლა გააგრძელა თბილისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის ქორეოგრაფიულ განყოფილებაზე. 1961 წელს ჩაირიცხა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი. იქ დაიხვეწა და ვირტუალობამდე ავიდა მელსი გრიგოლიას საშემსრულებლო ხელოვნება. ანსამბლში დაჰყო 1965 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში ანსამბლთან ერთად მოარა საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქი და მსოფლიოს მრავალი ქვეყანა.

1965 წლიდან, როგორც ქორეოგრაფი, წლების განმავლობაში მუშაობდა მეორე საშუალო სკოლაში, მონაწილეობდა რაიონის კულტურის სახლის ქორეოგრაფიული კოლექტივის საქმიანობაში.

1975 წლიდან ხელმძღვანელობდა საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების ცხაკაიას რაიონულ გამგეობასთან არსებულ ქორეოგრაფიულ სტუდიას.

მელსი იყო ნიჭიერი სპორტსმენი, თამაშობდა ცხაკაიას „სპარტაკში". იყო 1993 წელს დაარსებული საჭადრაკო კლუბის თავმჯდომარე. პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა სენაკის ავტოსადგურში ექსპლოატაციის უფროსად, დირექტორის მოადგილედ.

მინიჭებული აქვს რესპუბლიკის ფესტივალის ლაურეატის წოდება.

ჰყავს მეუღლე, 3 შვილი, 2 შვილიშვილი და 3 შვილთაშვილი.

მშობლიური ქალაქის საპატიო მოქალაქეობა ჩემთვის ნიშნავს იმ უდიდესი შრომის დაფასებას, რაც მე გავწიე ჩემი ცხოვრების მანძილზე ახალგაზრდების აღზრდის საქმეში. მიმაჩნია, რომ მიცხოვრია სწორად, არცერთი წარმატება არ მოსულა იოლად, ეს იყო მუხლჩაუხრელი შრომის შედეგი.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ისინი, ვინც დღეს ქორეოგრაფიულ სფეროში მოღვაწეობენ, ჩემი აღზრდილები არიან.

მადლობა იმ ადამიანებს ვინც ჩემი შრომა დააფასა და მომანიჭა საპატიო ჯილდო.

ამაყად დავდივარ სენაკის ქუჩებში, მიხარია ჩემი ქალაქის წინსვლა და წარმატება.

ყველა ღვაწლმოსილ ადამიანს, ვინც ჩემთან ერთად მიიღო ეს ტიტული ვულოცავ და ვუსურვებ წარმატებებს.

დამსახურებული გამარჯვება

პორტუგალიის ქალაქ ლისაბონში გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონატი ვეტერან ძიუდოისტთა შორის. საქართველოს ნაკრებმა 11 მედალი მოიპოვა, აქედან კი 5 ოქრო, 3 ვერცხლი და 3 ბრინჯაო.

აღნიშნულ ტურნირში წარმატებით იასპარეზა სენაკის სასპორტო გაერთიანების, სასპორტო სკოლის ძიუდო და სამბოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ელგუჯა გვასალიამ. ის M6-ში ანუ 55-59-წლამდელებში გამოდიოდა. ორი შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო: ამერიკელ ედგარდო როდრიგესთან და ავსტრიელ მანფრედ ჰიმელბაუერთან. მხოლოდ ერთი შეხვედრა დათმო ყაზახ ძიუდოისტთან და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

„კოლხეთის" რედაქცია ულოცავს ვეტერან სპორტსმენს ელგუჯა გვასალიას დამსახურებულ გამარჯვებას და უსურვებს შემდგომ წარმატებებს.

გაზეთ „კოლხეთის" რედაქცია

ეიფორის მორიგი წარმატება

სენაკის მოსწავლე -ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ,დიმა ჯაიანის სახელობის დარბაზში ახალგაზრდულმა თეატრმა ,, ფიროსმანი " განახორციელა ი. ჯავახიშვილის რომანი ,, ჯაყოს ხიზნების" " მიხედვით სპექტაკლის პრემიერა. რეჟისორო ვეფხვია გორგოძე. პანდემიის უსაფრთხოების ზომების დაცვით ახალგაზრდა მსახიობებმა წარმატებით განასახიერეს ჯაყოსნიკო კაჭარავა, მარგოს- თამარ გვარჯალაძე და თეიმურაზის- რეზო ბეჟაშვილი რილები.

ეს გახლავთ თეატრის კოლექტივის მორიგი წარმატება რომლის ანგარიშზეა ათზე მეტი სპექტაკლი. ვულოცავ მსახიობებსა და რეჟისორს მირიგ გამარჯვებას. შეუძლებელია ნახო ახალგაზრდების შემართება და დიდი მონდომება და არ აღფრთოვანდე. თვალნათლივ არ დაინახო რეჟისორის ხელწერა და განცდა , რომ ცდილობს ახალი სხივი შეიტანოს და თანამედროვე ხედვა ჩააქსოვოს თითოეულ პიესაში. შექმნას პერსონაჟების ინტიმური სამყარო და უშუალო ლირიზმით აამეტყველოს ისინი .

ხელოვნება ეს ცხოვრებაა. ხელოვნების მიერ მონიჭებული სიამოვნება წარმოადგენს გზას ზნეობრიობისაკენ. სასიხარულოა, რომ დამსწრე საზოგადოების უმრავლესობა ახალგაზრდები იყვნენ .

ბ. დავითაია

დიდებული ქართველები

ნიჭიერი და კვალიფიციური იურისტი, გამოცდილი ახალგაზრდა სპეციალისტ გიორგი გარუჩავა ჩვენი გაზეთის ყოფილი რედაქტორის, ღვაწლმოსილი და ინტელექტუალური კაცის ილო წირღვავას შვილიშვილია. გიორგის სახელოვანი ბაბუასაგან დაჰყვა წერის ნიჭი და შემოქმედებითი უნარი. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე პერიოდულად დაიბეჭდა გიორგის ლექსები, ესსეები, ჩანახატები. ესსეებში გამოვლენილია მოვლენების ახლებურად წვდომის უნარი, პრობლემების აქტუალობა. ამჯერად გიორგი გარუჩავას წერილები ორი შესანიშნავი ქართველების გურამ შარაძისა და გელა ჩარკვიანის ხსოვნას ეძღვნება.

17 ოქტომბერს ბატონი გურამ შარაძის დაბადების იუბილე აღინიშნა, ადამიანის, რომელმაც ისტორიული სამართლიანობისათვის ბრძოლას თავი შესწირა.

არაერთხელ მინდოდა ჩემი ორიოდ გულწრფელი სიტყვით პატივი მიმეგო ჩვენი ქვეყნის ღირსეული მამულიშვილის, თანამედროვეობის ერთ-ერთი გმირის, ბატონი გურამ შარაძის ხსოვნისადმი, მაგრამ გაუბედაობამ, მისი პიროვნებისადმი მიუწვდომლობის კომპლექსმა, ვერ გამაბედინა გამესწორებინა თვალები გმირული ეპოსის ამ შესანიშნავი რაინდისათვის, რომ არა დედაჩემის (მედეა წირღვავას) მიერ წარსული მოგონებების (რომელიც უკავშირდებოდა მისი გურამ შარაძესთან ურთიერთობის გარკვეულ ეპიზოდებს) შთაგონებით, მოვახერხე და დავძარი ყინული, რაც, ვფიქრობ, გაათბობს ოჯახისა და ზოგადად პუბლიკის შთაბეჭდილებებს.

რთულია ეძიო ისეთი უძვირფასესი განძი, რომლის აღმოჩენით საფუძველი დაუდო სხვა დიდი სიახლეების ძიებას, შექმნა ახალი ფასეულობა, საიდანაც მისცე მომავალს მაგალითი ისტორიულ გმირთა საუკეთესო ხასიათებისა - ბრძოლისუნარიანობისა, პრინციპულობისა, უშიშრობისა, თავდადებისა...

სწორედ, ასეთი განძი აღმოაჩინა და მოგვცა მეოცე საუკუნემ ბატონი გურამ შარაძის სახით, გვარგუნა პატივი, მისი ღვაწლით საფუძველი დაგვედო სხვა ახალი კვლევა-ძიებისადმი, მაგრამ, ამავე დროს, კარგად მოგვეხსენება, განსაკუთრებით ქართველებს, თუ რა ძვირფასია ისეთი ისტორიული წარსულის მქონე ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, ასეთი მარგალიტების შენახვა, მოვლა-პატრონობა, მისი გამოყენება, გამრავლება და უფრო დიდი დოვლათის შექმნა..

სამწუხაროა, რომ ჩვენი გენეტიკური მემკვიდრეობის ჯაჭვი შეიცავს ისეთ მერყევ რგოლებს, რომელიც სუსტია, ნებისყოფას მოკლებულია, დაჩიავებულია, თავისი უკეთურობით ბოროტმოქმედია და მათი ნამოქმედარი მოგვწყვეტს ისეთ საუკეთესო ისტორიულ მემკვიდრეობას, რომელიც ჩვენმა დიდმა წინაპრებმა გვარგუნა...

სწორედ ასე გავწყვიტეთ კავშირი იმ ისტორიულ განძთან, ბატონი გურამ შარაძის სახით, რომელიც მომავალი საქართველოს თანამედროვე ფორმით წარმოჩინების საუკეთესო ნიმუში იქნებოდა...

უშიშარი ბუნება, შეუპოვარი ხასიათი იყო მისი ბედისწერა, მან ქართული ისტორიული წარსულის შესწავლასა და დაცვას შესწირა მისი ოჯახური და პირადი მყუდროება, ჯანმრთელობა და ბოლოს სიცოცხლეც კი...

ვერ ვიქნები ორიგინალური და ვერ ვიტყვი იმაზე მეტს ბატონი გურამ შარაძის შესახებ, რაც დაწერილა და თქმულა, უბრალოდ მინდა ერთი საინტერესო დეტალი წარმოგიდგინოდ მისი მოღვაწეობის ისტორიიდან -

ლონდონში, ნოე რამიშვილის (დამოუკიდებელი საქართველოს პირველი კოალიციური მთავრობის თავმჯდომარე) უმცროსი ვაჟის აკაკი რამიშვილის სახლში, ბატონ გურამ შარაძის მასპინძლობისას, აკაკი რამიშვილმა ჩამოაგდო საუბარი ეროვნული არქივის ბედის შესახებ, რომლის ნაწილიც აშშ-ი, ჰარვარდის უნივერსიტეტში იყო დაცული, მისი შენახვის ვადა სრულდებოდა 2004 წელს, ვადის გასვლის შემდეგ, განძის საქართველოში დაუბრუნებლობის შემთხვევაში ის აშშ-ის საკუთრება გახდებოდა. სწორედ 1981 წელს, მან, პირველად, აკაკი რამიშვილისაგან გაიგო, საქართველოს ეროვნული არქივის უცხოეთში მოხვედრის ისტორია და მისი შემდგომი ბედის ამბავი.

არ მოვყვები განძის ჰარვარდში მოხვედრის დეტალებს, უბრალოდ მინდა მოგახსენოთ იმ შემართების და მამულიშვილური ნაბიჯების შესახებ, რაც აღნიშნული ფასეულობის დასაბრუნებლად გადადგა ბატონმა გურამ შარაძემ - პირველად მო-

ლაპარაკებები გამართა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, მაშინდელ საქართველოს ცეკას მდივანთან ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან, რომელიც დაარწმუნა განძის დაბრუნების ისტორიულ მნიშვნელობაში. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კი, გახდა უშუალოდ განძთან დაკავშირებით, აშშ-სთან დაწყებული მოლაპარაკებების მოთავე და ხელმძღვანელი, რომელიც დაგვირგვინდა გადმოცემის აქტზე ხელმოწერის ისტორიული ფაქტით (1997 წლის 2 ოქტომბერი), რომლის ხელმომწერი საქართველოს მხრიდან ბატონი გურამ შარაძე გახდა. ასე დაუბრუნდა საქართველოს, წარსული სახელმწიფოებრიობის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების ნაწილი...

შთაბეჭდილება, რომელიც ბატონმა გელამ მოახდინა ჩემზე

გელა არ იყო მხოლოდ ფილოლოგი, დიპლომატი, პუბლიცისტი, პედაგოგი, მუსიკოსი, ის ვერ ჯდებოდა ვერც ერთი პროფესიული კონიუქტურის ფარგლებში, მისი გონება სცდებოდა დისიპლინური ჩარჩოების საზღვრებს, მან საფუძველი ჩაუყარა ახალ დარგს, რომელსაც პირობითად - ,,ადამიანურობას" დავარქმევდი. მასში შერწყმული იყო წარსული, აწმყო და მომავალი, დაბალანსებული ნორმით.. გელას მუდამ იზიდავდა ახალი, ახლის ძიებისაკენ იყო მიმართული მისი ყოველდღიურობა - ანალიზი, ამა თუ იმ მოვლენისადმი, არ იყო შეზღუდული დროის მოთხოვნილებებით, მას მსჯელობისას არ ამუხრუჭებდა მყოფადის ქარიშხალი, თუმცა, ნებისმიერ საგანზე საუბრისას, იყო მოზომილი, მის ნათქვამში ყველა, მიუხედავად ,,მრწამსისა", ხედავდა თავის ემოციურ საყრდენს... წარსულში გადავიდა მისი აწმყო, რაც დიდი დანაკლისია მომავლისთვის, დიახ მომავლისთვის, ის დღესაც ახალგაზრდული შემართებით ანგრევდა ძველ, გამოუსადეგარ შენობებს და უმზადებდა ფუნდამეტს ახალს... დიახ, ის ახალი ფორმაციის ადამიანი იყო ნაყოფიერი წარსულით!

გიორგი გარუჩავა

ნუკრი გერსამია

ჭეშმარიტად დააკლდა ქალაქს ნიჭიერი მხატვარი, რესტავრატორი და ხატმწერი ნუკრი (მოსე) გერსამია.

ნუკრი გერსამიამ 1970 წელს დაამთავრა სენაკის №1 საშუალო სკოლა, სამხედრო-სავალდებულო სამსახური გაიარა თურქმენეთში. 1976 წელს ჩაირიცხა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, რომელიც დაამთავრა 1982 წელს. იყო ახალგაზრდა მხატვართა კავშირის წევრი.

1978-90 წლებში მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურის და ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს სამეცნიერო და სარესტავრაციო სახელოსნოში მხატვარ-რესტავრატორის სპეციალობით. 1993 წელს ჩამოვიდა სენაკში და მუშაობდა საბავშვო –სამხატვრო სკოლაში პედაგოგად.

1993-2003 წლებში მუშაობდა რუსეთში მხატვრად. შემდგომ ეწეოდა შემოქმედებით და პედაგოგიურ მოღვაწეობას სენაკის სამხატვრო სკოლაში, იყო დირექტორი. 2018 წელს სამუსიკო სკოლისა და სამხატვრო სკოლის შერწყმით შექმნილ ხელოვნების ცენტრში სამხატვრო სკოლის კოორდინატორი.

ძეგლთა დაცვის სამმართველოში მუშაობის დროს სხვა მხატვრებთან ერთად აღადგინა ცნობილი ძეგლები: გელათის ტაძარი, საფარის წმ. საბას ეკლესია, ტიმოთეს უბანი, დავით გარეჯი, ქაშუეთის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, მამა დავითის ეკლესია(მთაწმინდა) წმ. ნიკოლოზის ეკლესია ვორონცოვზე, სამების ეკლესია(საჯარო ბიბლიოთეკის უკან).

შეასრულა რამდენიმე ძეგლის რესტავრაცია –კონსერვაცია, იმუშავა ცნობილი ცისფერყანწელების კაფე „უქიმერიონის" აღდგენაზე, რომელიც თავის დროზე მოხატეს მხატვრებმა: ა. სუდეიკინმა, ლ. გუდიაშვილმა. დ. კაკაბაძემ და ვალიშევსკიმ.

ნუკრი გერსამიას ნამუშევრები დაცულია კერძო კოლექციებში, ეკლესიებში, საქართველოსა და საზღვარგარეთ, კერძოდ: რუსეთში, ავსტრიაში, გერმანიაში, ისრაელში, აშშ-ში, კანადაში. მხატვარი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ჯგუფურ გამოფენებში. სოციალურ ქსელში ნუკრი გერსამიას გარდაცვალებას გულისტკივილით ეხმიანება რუსი მწერალი, მხატვარ-კარიკატურისტი ალექსი ევტუშენკო: **„კოვიდი განაგრძობს კარგი ადამიანების წართმევას... ამქვეყნიური ცხოვრებიდან წავიდა ჩემი მეგობარი და მასწავლებელი, შესანიშნავი მხატვარი და რესტავრატორი, ადამიანი, რომელმაც ხატვა მასწავლა, ბატონი ნუკრი გერსამია-ცათა სასუფეველი და მარადიული ხსოვნა მას" (Алексей Евтушенко** Ковид продолжает забирать хороших людей. Умер мой друг и учитель, прекрасный художник и реставратор, человек, научивший меня рисовать, батоно Нукри Герсамия. Царствия Небесного и вечная память!)

ძნელია ახლობლებისთვის, კოლეგებისთვის ნუკრი გერსამიას გარდაცვალება, მსუბუქი იყოს მის გულზე დაყრილი კოლხური მიწა. ნეტარი კარგი სენაკელის სახელზე დანთებული სანთლები.

„კოლხეთის" რედაქცია

დუშა ჯოჯუა-სართანია

წლები, როგორც წესი თავის სახელს არქმევს ადამიანის ნაშრომ-ნაღვაწს.

დუშა ჯოჯუა-სართანია ქართველი დედის სიმბოლო იყო. ქალბატონი, რომელიც ხანდაზმულობამდე მტკიცედ მიუყვებოდა წუთისოფლის ნარეკლიან გზას. გულისხმიერი და ყურადღებიანი დედა, თაობათა მასწავლებელი და დამრიგებელი, კარგი მეზობელი და მრჩეველი, საოცრად სტუმარ-თმოყვარე, მზრუნველი მეუღლე და მოსიყვარულე ბებია.

გრამიტონ სართანიას ოჯახის კარი მუდამ ღია იყო თანადგომის საძიებლად მისული მოკეთე-მოყვრისათვის. ცხოვრების სხვაგვარი ხედვა ჰქონდათ, მოთმინების და სიბრძნის ამოუწურავი მარაგი.

ქალბატონი დუშა ასაკის და ხანდაზმულობის მიუხადავად ინტერესით ადევნებდა თვალყურს გარემომცველ სამყაროში არსებულ მოვლენებს, მახვილი ჭკუა და განწყობა ჰქონდა, თამამად გამოთქვამდა თავის აზრს სადღეისო თუ სამერმისო მოვლენებზე, უყურადღებოდ არ ტოვებდა სატელეფონო ზარებს.

მხცოვანი და ვალმოხდილი წავიდა ამქვეყნიდან. დედის ლოცვა დაუტოვა საგზლად შვილებს: ნინოს, დათოს და ვახტანგს.

„კოლხეთელები" ვუსამძიმრებთ ოჯახს, შვილებს, შვილიშვილებს, ახლობლებს ქალბატონ დუშას გარდაცვალებას.

შევთხოვთ უფალს ნათელში ამყოფოს მისი სული.

„კოლხეთელები"

სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეძაძამეს საჯარო სკოლის დირექცია, პედაგოგიური კორპუსი, სამეურვეო საბჭო და მოსწავლეთა თვითმართველობა, ღრმა მწუხარებით იუწყება, ამავე სკოლის ყოფილი მასწავლებლის

დუშა ბესარიონის ასული ჯოჯუას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს შვილებს: დავით, ვახტანგ და ნინო სართანიებს.

გია-გიორგი ხურცილავა ოჯახით თანაუგრძნობს სართანიების ოჯახს, დედის, ბებიის

დუშა ბესარიონის ასული ჯოჯუას

გარდაცვალების გამო

ნელი ჯანჯღავა თანაგრძნობას უცხადებს ნინო სართანიას დედის

დუშა ჯოჯუა-სართანიას

გარდაცვალების გამო

ნელი ჯანჯღავა თანაგრძნობას უცხადებს მურმან ბოჯგუას და ირაკლი ცხვიტავას ძმის და ბიძის

იგორ ბოჯგუას

გარდაცვალების გამო

საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლები მწუხარებას გამოთქვამენ

იგორ ბოჯგუას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

გია-გიორგი ხურცილავა ოჯახით თანაუგრძნობს რომან,ზაზა და ნინო ვახანიებს, მეუღლის, დედის

ნუნუ ფანცულაია-ვახანიას

გარდაცვალების გამო

თამაზ კანკია

გიორგობის თვეში დაიბადა, ფოთოლცვენის ჟამს...

საოცრად რომანტიკული ბუნების მქონეს პოეზია ასულდგმულებდა. თვითონაც წერდა ლექსებს, მხოლოდ ერთი კრებული დაგვიტოვა...

ძალიან მძიმე პერიოდში ხელმძღვანელობდა გაზეთ „კოლხეთის" რედაქციას. შეიძლება ითქვას, რომ მან იტვირთა გაზეთის გადარჩენა, როგორც რაიონის ერთ-ერთი მემატიანის და შეძლო კიდეც.

მისი სარედაქციო თათბირები გამორჩეული და არაორდინალური იყო. ყველა თანამშრომელს მის მიერ შერჩეული ზედმეტი სახელებით მოგვმართავდა. მკაცრი და მომთხოვნი იყო თანამშრომლების მიმართ. თუმცა გაჭირვების ჟამს გვერდში დგომა გახლდათ თამაზ კანკიას ხასიათის უმთავრესი თვისება. მის სამუშაო კაბინეტში იკრიბებოდნენ სხვადასხვა ასაკის, გემოვნების, განათლების, რელიგიური და პოლიტიკური მრწამსის ადამიანები. ყველასთან თავისებური მიდგომის მოზომილი ხერხი ჰქონდა შერჩეული. არც ერთს არ ანსხვავებდა. ყოველი -- სენაკელი ჩინიანი თუ უჩინო, ღარიბი თუ მდიდარი ერთნაირად საინტერესო იყო მისთვის. საინტერესო დიალოგის განსაკუთრებულ ფორმას ქმნიდა და ეს არასოდეს ყოფილა ერთფეროვანი.

უაღრესად ნიჭიერ და შრომისმოყვარე თამაზ კანკიას 5 ნოემბერს 72 წელი შეუსრულდებოდა.

დიდხანს დარჩება ბატონი თამაზის ხსოვნა „კოლხეთელებისა" და საზოგადოების გულში. ის, იმ ადამიანთა რიგს განეკუთვნებოდა, ვალმოხდილი კაცის სახელს რომ უტოვებენ შათმომავლობას.

„კოლხეთელები"

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

დაიწყო ხელმოწერა გაზეთ „კოლხეთზე". ხელმოწერის ღირებულება 1 წლით შეადგენს 12 ლარს.

ძვირფასო თანაქალაქელებო, ხელმოწერით თქვენ სიცოცხლისუნარიანობას უნარჩუნებთ მუნიციპალიტეტის მემატიანეს.

გაზეთი „კოლხეთი"

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
კორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიკა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 223779,223711, 223499